

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია გათვალისწინებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებით წარმოჩენილი მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის თვეში 200 ლარის ოდენობით, არა უმეტეს 2 სტუდენტისა. სტიპენდიას სტიპენდია ეძლევა დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (ათი თვე).

- ◆ **სტიპენდია გამიზნულია** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების ბაკალავრიატის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ 70% და მეტი აკადემიური მოსწრება, გამოქვეყნებული აქვთ სტუდენტური ნაშრომები, მონაწილეობდნენ კონფერენციებში და არიან საზოგადოებრივად აქტიურები.
- ◆ **სტიპენდია გამიზნულია** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების მაგისტრატურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტისათვის, რომლებსაც აქვთ 80% და მეტი აკადემიური მოსწრება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობდნენ კონფერენციებში და არიან საზოგადოებრივად აქტიურები.

ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია აფხაზეთის ა/რ მთავრობამ 2017 წელს დააწესა.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის მისანიჭებლად სტუდენტის წარდგენის უფლება აქვს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს. დაინტერესებული სტუდენტები დაუკავშირდნენ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებს.

განაცხადების წარდგენის ვადად განისაზღვრა 2020 წლის 01 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი.

გამოცხადებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განაცხადები არ განიხილება.